# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 25 ნოემბერს,

არტისტის კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**თამარ-ბატონიშვილი**

ისტორ. დრ. 1 მოქმ. გადმოკ. კ. მესხის მიერ

II

**ნება მიბოძეთ, ბატონო!...**

კომედია 1 მოქ. გადმოკ. ი. კერესელიძის მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი დაკლებულია

შეგირდებისთვის კუპონები ლოჟაში 50 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

სამშაბათს, 24 ნოემბერს, დაარსდება კავკასიის

1-ლი სამკურნალო უსინათლოთათვის,

რომელიც გამართულია მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის მზრუნველობით, აცხადებს რა ამას კავკასიის უსინათლოთა სამზრუნველოს განყოფილების თავმჯდომარე ევდოკია ბორისის ასული შერემეტიევისა, სთხოვს განყოფილების წევრთ და ყველას, ვისაც-კი მონაწილეობა აქვს სამზრუნველოში, დაესწრნენ უსინათლოთათვის დაარსებულის სამკურნალოს კურთხევასა და პარაკლისს, დღეს, 24 ნოემბერს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ. (ვოდოვოზნი ქუჩა, კავკასიის სააფთიაქო საქონლის მოვაჭრეთა ამხანაგობის სახლი).

ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში

**მისაღები ეგზამენები დაიწყება ამა წლის 3 დეკემბერს**

(3—167—3)

დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—16)

მიხ. ალ. ძე ნასიძე

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—6)


## ახალი ამბავი

⁂ 20 ნოემბერს გამართულმა კონცერტმა განზრახულ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ ფრიად კარგად ჩაიარა. დარბაზი „ტფილისის საზრანიისა" სავსე იყო საზოგადოებით და შემოსავალი 1000 მანეთამდე შემოვიდა. საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა და მადლობელი იყო კონცერტის მოთავესი, კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ორბელიანისა, რომელმაც, თუმცა დრო მცირე ჰქონდა კონცერტის გასამართავად, მაგრამ მაინც ყოველ სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა მიუხედავად ასე ჩინებულად მოაწყო საქმე. დაწვრილებული ანგარიში შემოსავლისა და ხარჯისა თავის დროზედ იქნება ცალკე დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ-ნთ გრ. და ალ. ყიფშიძეთაგან სამ-სამი მანეთი ბ-ნ ჟორდანიას წიგნის ორის ეგზემპლიარის დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 127 მ.ნ. შესდგა სულ 133 მან.

⁂ დღეს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ აკურთხებენ ახლად დაარსებულს უსინათლოთა უფასო სამკურნალოს, რომელიც იმყოფება ვოდოვოზნი ქუჩაზედ, კავკასიის სააფთიაქო საქონლის მოვაჭრეთა ამხანაგობის სახლში.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს, სხვათა შორის, შემდეგი საშუალებანი იხმაროს, რათა განაკარგოს ცხვრის მოშენების საქმე რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში: შემცირებულ უნდა იქმნას ფასი რკინის გზით მატყლის გადატანისა; გაადვილებულ უნდა იქმნას მატყლის გატანა საზღვარ გარედ; დაარსებულ უნდა იქმნას სპეციალური სასწავლებელი ცხვრის მოშენების საქმის შესასწავლად; უნდა გაიმართოს რამდენიმე გამოფენა ცხვრისა და მატყლისა და, ყველა ამას გარდა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოდ ცხვრის მოშენების საქმესა და მატყლის ვაჭრობას.

⁂ კვირას, 22 ნოემბერს, ტფილისის რეალურ სასწავლებელში იყო წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ: ყოვლად უსამღვდელოესნი ეპისკოპოსნი: გორისა—ალექსანდრე, ალავერდისა—ბესარიონი, კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ტ. ს. კ. პ. იანოვსკი, ტფილისის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ერნსტი, კავკასიის მთავარ-მართებლის აბჯროს წევრი ტ. ს. პრიბილი, ტფილისის ქალაქის მოურავი თ. ვ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკი, რეალურ სასწავლებლის საპატიო მზრუნველი ა. ი. მანთაშოვი, ტფილისის გიმნაზიების დირექტორნი და მრავალი ხალხი.

რეალურ სასწავლებლის დირექტორმა ბ-ნმა ტირიუტინმა წაიკითხა ანგარიში რეალურ სასწავლებლისა $189^1/_2$ წლისა. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა ამერიკის აღმოჩენისა და ქრისტოფორე კოლუმბის შესახებ ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელმა თ-დმა ვ. ს. მიქელაძემ. იმავე აქტის დროს დაურიგეს საჩუქრები სასწავლებლის საუკეთესო მოწაფეთ.

⁂ ის გურულები, რომლებიც წელს ლონდონში იყვნენ და იქ სხვა-და-სხვა გვარ წარმოდგენებსა ჰმართავდნენ, უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში და თან ჩამოიტანეს საპატიო დიპლომი, რომელიც ლონდონის მცხოვრებთ უძღვნეს. გურულები ძლიერ მადლიერნი არიან ევროპაში მოგზაურობისა. ერთს მათგანს პარიჟში ჯვარიც დაუწერია და ფრანგის ქალი შეურთავს.

⁂ წმიდა ალექსანდრე ნეველის ეკკლესიასთან დაარსებულია, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, სამრევლო სასწავლებელი, განსაკუთრებით ამ ეკკლესიის მრევლის ღარიბ წვრილ-შვილთათვის. რა ინახავს ამ სასწავლებელს? სამრევლო სამზრუნველოს წევრთა ყოველ-წლიური სამ-მანათიანი საწევრო ფულით შემდგარი თანხა და ქველ-მოქმედება მრევლისა.

სანამ ქ-ნი კირპიჩნიკოვისა იყო ამ სასწავლებელში მასწავლებლად, პირველს სამს წელიწადს, დიდი შეღავათი ჰქონდა სამზრუნველოს, რადგან ეს მასწავლებელი უსასყიდლოდ ასწავლიდა ამ ხნის განმავლობაში, შემდეგ-კი სამზრუნველო იძულებული იყო, მასწავლებელი ქალი მოეწვია ჯამაგირით.

წელს საპატიო მზრუნველად ამორჩეულ იქმნა ინჟენერი ბ-ნი კ. ც. ბუტკევიჩი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ამ სასწავლებელს. ამის მეცადინეობით ეხლა უნდათ აქ სახელოსნო გაჰმართონ, რადგან, ბ-ნ ბუტკევიჩ ს აზრით, ამ სასწავლებლის შეგირდები ისეთ გარემოებაში არიან, რომ მომავალში მხოლოდ ხელოსნობით თუ დაირჩენენ თავს, თორემ სხვა ვერაფრით.

რასაკვირველია, ამ ფრიად სასიამოვნო წადილის ასრულება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ნივთიერი ღონისძიება აღმოუჩნდება და საზოგადოება დაეხმარება ასეთს საქმეს. სწორედ ამ განზრახვით გამართულ იქნება დღეს, სამშაბათს, ამ თვის 24, კონცერტი „სამუსიკო კრუჟოკის" დარბაზში. კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას ჩვენის ქალაქის საუკეთესო მოყვარულნი სცენისა.

⁂ პარასკევს, 20 ნოემბერს, ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორაში ვიღასაც კასსა გაუტეხია და 3,000 მანათი ფული მოუპარავს. ყუთში ფასიანი ქაღალდებიცა ყოფილა, მაგრამ ქურდს ხელი არ უხლია. ეჭვი კანტორის ერთს მოსამსახურეზედ მიუტანიათ, რომელიც იმ ღამეს დარაჯობდა და მეორე დღეს-კი სადღაც გაჰქრალა. პოლიციამ ამ საქმის შესახებ ოქმი შეადგინა და გამომძიებელს გადასცა.

⁂ როგორც ამბობენ, პეტერბურგის მკურნალთა კრებას, სხვათა შორის, დაესწრება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მკურნალი ბ-ნი სახაროვი და წაუკითხავს კრებას თავისს მოხსენებას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ დეზინფექციის შესახებ.

⁂ ამას წინად პეტერბურგში გარდაცვალებულმა სომეხმა ქალმა მარიამ კაზაჩკოვისამ, 85 წლისამ, როგორც გაზეთი „არძაგანკი" იუწყება, 10,000 მანათი შესწირა არზრუმის სანასარიანის სომეხთა სასწავლებელს.

⁂ 19 ნოემბერს ტფილისში თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით ახალგაზდა კაცმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ბაბიევსკიმ. განსვენებული საზაფხულო თეატრში მსახურობდა „სცენარიუსად" და ხან-და-ხან წარმოდგენებშიაც იღებდა მონაწილეობას, მიხაილოვის ფსევდონიმით.

⁂ ქალაქის მოურავმა შეჰკრიბა ცნობანი მათ შესახებ, ვინც დაზარალდა წელს ხოლერისაგან ტფილისში. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 10 ივნისიდგან 1 ნოემბრამდე ტფილისში ხოლერით ავად გამხდარა სულ 516 კაცი, მათში გარდაცვლილა 313, მორჩენილა 203. მიზეზი იმისი, რომ მიცვალებულთა რიცხვი ბევრით აღემატება მორჩენილთა რაოდენობას, აი-

---

# ფელეტონი

## სოფიოს „ვეჩერი"

### III

(დასასრული*)

ყოველივე თავის რიგზედ იყო, ხოლო იმ მშვენიერს „ვეჩერს" ერთი ორიოდე რამ აკლებდა. რიგიანად ჩაცმულ მოსამსახურეების საქმეს სხვა-და-სხვა სახლიდგან მოყვანილი გაძოძილ-ქალამნიანი შინაური ბიჭები ასრულებდნენ, რომლებიც ნაბდია ნაგლეჯ ქუდებს თავიდგან არ იშორებდნენ. ესენი იყვნენ სტოლის გამწყობლები. წარმოიდგინეთ, ამათი გაკეთებული საქმე რა იქნებოდა?.. ამ სალოდავებმა სახლის ქვემო ეტაჟიდამ კვნესით და ხვნეშით ამოიტანეს აბანოზის ფრად შეღებილი კალთიანი სტოლები და ზედ აივანის სიგრძეზედ გაუშლელად ერთმანეთზედ ისე მიაწყეს, რომ, გეგონებოდათ, იარმუკაში გამოუტანიათ გასასყიდადაო.

— ბიჭო, გიგლიავ!.. კაცო, ერთი ქალბატონს შაატყობინე, გამოვიდეს, ნახოს, „დრუჰტათ" არი, თუ არა, სხვა ხომ აღარა აკლია რამ?..

— კაცო, შენ-კი პირი დაგეღლება, რომ უთხრა? ე ოხერი ტოლია რაღაც, მაგი ზიდილმა წელი ტარი მამტეხა...

— კაცო, შენ ქალბატონ შენ არ შაატყობინებ, ჰაი...

— ბიჭოს!.. იმდღანდელი ფოჰტი გზირივითა რაი მიყვირი კაცო... ეგე შადი და უთხარი, შენც ხომ ტუმრათ არა ხარ აქა...

— ტუმრათ, როგორ არა, შენი თავის გახეთქამ, ჩაი ტაქნები იყო, რომ შენსავით გადავყლაპე აი... ადე მაიდამ, რაღაც წამოგდებულხარ, ნეხვი გოდორივითა...

— შენ თუ ფეხზე წამოყენებულ ხარ, მე ვიცი წინ გადაუდგები პრიჰტავ ზალდაჰტანოვსა აი... ე ხახა დააყე, თორემ...

მეზურნე სარქისა თუ შუაში არ ჩავარდნილიყო, ერთიერთმანეთს გასწეწავდნენ:

— ბიჭო, რა გაჩხუბებთ, თქვე ვირის თავებო... ან ეს სტოლები რა ნაირად დაგიწყვიათ, ჯერ გან-გან დააწყეთ, კალთები გაუშალეთ და ისე ილაპარაკეთ.

— რას ამბობ ეი... მეზურნე სანკისა ხარ რაღაც... ე კალთები რომ აუწიოთ, რაღაზე-ღა დავაყენოთ?!. მითომ შენც რამე თქვი რაღა!..

მეზურნე სარქისას ისეთი სიცილი მოუვიდა ამ სიტყვების გაგონებაზედ, რომ ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდგან და ველარაფერი ვერ უპასუხა, ვიდრე იქ მყოფი ერთი მოახლე არ შევიდოდა და არ შეატყობინებდა სახლის პატრონსა. რასაკვირველია, სოფიო იმ წამსვე გამოვიდა, ბევრიც იჯავრა, ბევრი გაბოროტდა და სტოლები ისევ რიგზედ დააწყობინა.

### IV

ღამის საათის ათი იქნებოდა, როცა ქალები ლოტოს თამაშობას აპირობდნენ. გრძლად გაშლილ სტოლებზედ გარდაშლილი იყო ერთიანი თეთრი სუფრა. გარშემო სკამებზედ შემომსხდარნი იყვნენ ფერად-ფერად ჩაცმულნი ქალები. ზედ სტოლებზედ ხუთ ალაგას ეწყო ანთებული ლამპრები და ალაგ-ალაგ ლამპრებ შუა შანდლებით სანთლები. ყველანი დიდის გულ-მოდგინებით სცდილობდნენ, რომ თავიანთ წინ ლოტოს ქაღალდები რიგზედ დაეწყოთ და ისე ყაყანებდნენ, რომ ერთი ერთმანეთისა ვერა გაეგოთ-რა. აგერ ამ დროს გაძვერაანთ ანეტამ, რომელიც „კაზნაჩეად" ამოერჩიათ, გააჩუმა ყველანი.

— აბა ქალებო, თითო მანეთი უნდა იყოს ჩამოსვლა და ორი მანეთიც აღება. ამასთანავე გატყობინებთ, რომ ნიმნის (ნივთების) ჩამოსვლა არ უნდა იყოს, ყველა უნდა ფულად ჩამოხვიდეთ, თორემ შემდეგ აირევა. რას იტყვით, გსურთ ა'ე, თუ არა?..

— ძრიელ კარგი იქნება, უპასუხეს ყველამ ერთის ხმით.

ერთს წამს შემოუარა ანეტამ ქალებსა და ყველას გამოართვა თითო მანეთი. შემდეგ აიღო კოჰის ტოპრა-

*) იხ. „ივერია" № 247.

ხსნება მხოლოდ იმითი, რომ ავად მყოფი ხალხი უმეცრებისა გამო ან სულ არ მიდიოდა საჰკურნალოში, ან მიდიოდა ძრიელ გვიან. მაგალითად, სამკურნალოში არ წასულა 129 ავადმყოფი, მათში გარდაცვლილა 97 სული და მორჩენილა მხოლოდ 32 სული. სამკურნალოში-კი იწვა 387 ავადმყოფი და, თუმცა გვიან მიჰმართეს სამკურნალოს, მაინც ამათში გარდაიცვალა 217 კაცი, ხოლო მორჩა 170. მორჩენილი უფრო მეტი იქმნებოდა, რომ მაშინადვე, რამწამს ცუდად იგრძნეს თავი, სამკურნალოსთვის მიემართათ. აგერ ჯარის კაცებში ხოლერით ავად გახდა 54 სული, რომელნიც დროზე გაჰგზავნეს სამკურნალოში და ამის გამო მათში მორჩა 37 კაცი, ხოლო გარდაიცვალა 17. საზოგადოდ, გარდაცვლილთა შორის 186 რუსი იყო, 133 სომეხი, 94 ქართველი, 52 სპარსელი, 10 ურია, 10 გერმანელი, 8 პოლშელი, 4 ყაზანელი თათარი, 4 აისორი, 1 იტალიელი, 1 ლიფლანდელი, ხოლო 13 გარდაცვლილის ჩამომავლობა ვერ შეიტყეს. ხოლერიან ავადმყოფთა შორის მამაკაცი იყო 361, დედაკაცი 130, ხოლო ბავშვი 25 სული.

⁂ დადგა ზამთარი და ყასპებმაც მოუხშირეს ღორის ხორცის გაყიდვას, რადგან ტფილისში ზამთრობით ღორის ხორცი დიდ პატივშია. ხოლო მისი ხმარება არ არის უშიშარი. ღორის ხორცმა იცის ეგრედ წოდებულის ტრიხნინი (ღორთელა), რომელიც ჰშხამავს კაცსა და ჰკლავს. მართალია, ქალაქის თვით მმართველობამ გამართა ქიმიური ლაბორატორია, რომელიც, სხვათა შორის იკვლევს „ვიჩინას“, მაგრამ მარტო „ვიჩინა“ როდია საშიში. ამის გამო ეხლახან ტფილისის მეკალბასეებმა მიართვეს ქაღალდი ქალაქის გამგეობას და სთხოვენ, რომ ლაბორატორიამ მარტო „ვიჩინა“-კი არა, გასინჯოს ყოველი საკლავი ღორიცა. დღეს თითო „ვიჩინაზე“ იღებს ლაბორატორია ხუთ შაურს. მეკალბასენი ეუბნებიან — თითო ღორის გასინჯვაზედ ათი შაური აიღეთო და გამოეცით ბძანება, რომ ლაბორატორიის დამღა-დაუკვრელად არავის არა ჰქონდეს უფლება ღორის ხორცის გაყიდვისაო. ტფილისში იკვლება წლიურად თოთხმეტი ათასი სული ღორი და ორი ათასამდე დაკლული შემოდის სოფლებიდგან. „ვიჩინის“ გასინჯვიდგან ლაბორატორია წელიწადში იღებს 500 მანეთს და დანარჩენ ღორის ხორცს-კი ვერა ჰსინჯავს. ეხლა-კი, უკეთუ მიიღებს წინადადებას მეკალბასეებისას, ქალაქის გამგეობა წელიწადში რვაას თუმნამდე ფულს აიღებს ამ საქმიდგან და ღორის ხორცის მხმარებელნიც უშიშარ ყოფილ შეიქმნებიან, რომ არავითარი ჭირი არა სჭირს იმ ხორცს, რომელსაც ბაზარში ჰყიდულობენ.

⁂ სურამი: ჩვენს დაბას წელიწადში 2,500 მანათამდე შემოსავალი აქვს საზოგადოების ფულისა (სასწორისა, საყასბოსი და სხ.) ეს ფული მამასახლისებს აბარია ხოლმე და ხშირად შემოხარჯვიათ, სამართალშიც მიუციათ ამის გამო, მაგრამ დახარჯული ფული ვერ დაუბრუნებიათ. საჭიროა ამიტომ საზოგადოებამ მეტი ყურადღება მიაქციოს ფულის შემოსავალს და რიგიანად აწარმოვოს ამ ფულის ანგარიში.

⁂ საგურამო: (დუშეთის მაზრა): ჩვენკენ დიდი ქურდობა და ავკაცობაა ამ ბოლოს დროს. ამ ორ კვირაში უკანასკნელი ათი ცხენი იქნება დაკარგული. გურამიანთ-კარს ახლო გზაში გაძარცვეს ერთის საწყალის კაცის ურემი, რომელზედაც ელაგა საცოდაობით ნაყიდი მზითევი ქალისა. გაძარცვეს აგრეთვე ერთი ისრაელი და იმავე გზაზედ წაართვეს ფარჩა, ღირებული 150 მან. ქურდებზედ ეჭვიც მიიტანეს, მაგრამ პატრონი ვინ არის! ეხლა კიდევ სოფელ ბოკოწინში 16 ნოემბერს დასჭრეს საბრალო ხელ-მარტო გლეხი, ნიკოლოზ ჩანადირი, რომელსაც სახლში არავინ ჰყავს და საბრალოდ ჰგდია ოთხ კედელ შუა. მისი მორჩენა ძნელია.

⁂ გუდაუთი (სოხუმის მაზრა): გუდაუთელებმა შეიძლეს, როგორც იყო, და ერთ-კლასიანი სასოფლო სკოლა დააარსეს აქა. ამ თთვის ოთხიდამ უკვე დაიწყო სწავლა ახალს სასწავლებელში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი ოცამდის არის. მათ შორის ქართველობაც არის, რუსობაც და ბერძნებიც. მასწავლებლად დაჰნიშნეს ბერძნის ქალი, რომელიც რიგიანად ასწავლის წერა-კითხვას ბავშვებს. სწავლება სწარმოებს რუსულად.

⁂ იქიდამვე: წარსულის თთვის დამდეგს ერთი უბედურება მოხდა გუდაუთში. აქ მოსახლობს ერთი ბერძნის ქვრივი, სახელდობრ, ლისავა ტეკმაჩევისა, რომელსაც ჰყავდა ერთად-ერთი თორმეტის წლის ვაჟიშვილი. საღამოს ჟამს, ესე რვა საათზედ, ლისავა ტეკმაჩევისა მეზობლებისას იყო. ვაჟიშვილი-კი შინ იყო და უცდიდა დედის მისვლას. როდესაც ბავშვმა მოიწყინა დედის დაგვიანების გამო, — ადგა და ოთახში დაიწყო აქეთ-იქით სიარული. სიარულის დროს სახლის კუთხეში ყმაწვილი ჰნახამს წამლით გატენილს თოფის „პატრონასა“. აიღებს ერთს თოფის „პატრონას“, მიიტანს სანთლის ალზედ და დაუწყებს თბობას. პატრონა, რასაკვირველია, გახურდება და იფეთქებს დიდის ხმით. ხმაურობაზედ ხალხი მოიყრის თავს, შემდეგ დედაც მოვა და, შევა თუ არა სახლში, ჰნახავს, რომ მისი შვილი ცოცხალ-მკვდარი ჰგდია იატაკზედ. მეორე დღეს ბავშვი სოხუმს გაჰგზავნეს ექიმთან მოსარჩენად, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

⁂ საბაშიო: ს. ტეზერში, ამ თთვის თოთხმეტს, ერთი ქურდობა მოხდა. ღამის რაინდებმა ნაშუაღამევს გლეხის, ბერო ჩიტიაშვილის დაკეტილი ოთახი გასტეხეს, შევიდნენ და გამოიტანეს ჩაის ჭურჭელი, ექვსი ვერცხლის კოვზი, ორი ხალიჩა, სამი ახალი სასტუმრო საბანი, ქალვაჟის მთელი საგარეო ტანისამოსი და ფეხ-საცმელი და ბევრი კიდევ რამ სხვა. ასე რომ ზარალი ათს თუმანს აღემატება. აქაურ სასოფლო პოლიციას ქურდები ჯერ ვერ უპოვნია, თუმცა, როგორც ამბობენ, ქურდები ისევ ამ სოფლის მცხოვრებთაგანნი არიანო.

⁂ ქვლასხი: 20 ნოემბრის წინა ღამეს ავაზაკები დაეცნენ რკინის გზის ლიანდაგის დარაჯს, ბახტიაროვს და, რაც რამ ებადა, სულ ერთიანად წაიღეს, მოიპარეს 75 მანათი ფული და 60 მანათის ნივთები.

⁂ ბათუმი: 19 ნოემბერს, საღამოთი, მატარებელ ქვეშ ჩავარდა მეისრე ქრისტეფორე წულაია და ორივე ხელი ძლიერ დაუშავდა. დაშავებული ტფილისს გაჰგზავნეს.

⁂ სამეგრელო: ზუგდიდის მაზრაში ძლიერ გავრცელდა ამ ბოლოს დროს ყაჩაღობა. კაცის კვლა-ჩეხა მეტად ხშირია, ქურდობას ხომ საზღვარი არა აქვს. ს. ხეთაში ნოემბრის განმავლობაში რამდენიმე ცხენი და სამი ცალი ხარი მოიპარეს.

ნოემბერმა საშინელი ცუდი ამინდები დაიჭირა, სულ ჰწვიმს და ხან-და-ხან თოვლსაც ურევს. ეს არის მიზეზი, რომ ალაგ-ალაგ ყელჭირვება და ყივანა-ხველა გავრცელდა. ზარალი ჯერ არა აქვს, მაგრამ მოსალოდნელია, თუ დროზედ რამ ღონე ვერ იღონეს, ზარალიც მოჰყვეს.

ახალ-სენაკსა და ზუგდიდ შუა გზატკეცილი შეუკეთებელი დარჩა ალაგ-ალაგ. ამ ზამთარში, უეჭველია, რომ უარესად გაფუჭდება და მისვლა-მოსვლა ერთობ გაძნელდება. სიმინდის ფასი ერთობ დაწეულია, 30—35 კ. ჰღირს ფუთი. მომატებას მოელიან. ღმერთმა ჰქნას!

⁂ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმინდის მოსავალი ისე კარგი არა ყოფილა თურმე, როგორსაც მოელოდნენ.

⁂ გაზეთი „Каспій“ იუწყება: ამ დღეებში ბაქოს თავშესაფარში მიიყვანეს სარატოვის გუბერნიის ერთი გლეხი ივანე პროხოროვი, რომელიც კეთროვანებით ყოფილა თურმე ავად. ავადმყოფს განზრახვა აქვს როგორმე მიაღწიოს ჩრდილოეთ რუსეთის ერთ-ერთ მონასტერს, საცა კეთროვანებით ავადმყოფთათვის თავშესაფარია გამართული. ავადმყოფი მკურნალმა ალექსეევმა გასინჯა და სთქვა, რომ ამ კაცის შენახვა თავშესაფარში შეუძლებელიაო.

## მთავრობის განკარგულებანი

პიატიგორსკის 151 პოლკის პოდპორუჩიკი ბასტაშვილი გადაყვანილ იქმნა დიდის მთავარის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მე-15-ს საგრენადერო პოლკში.

ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე იასონ ხაფთასი გადაყვანილ იქმნა ოზურგეთში, ხოლო ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ჯაყელი გადაყვანილ იქმნა ქ. ფოთში.

ბაქოს ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე აბაზაძე დანიშნულ იქმნა იმავე სასამართლოს მდივნის თანაშემწეს მოადგილედ.

## წერილი კახეთიდგან

წრევანდელი და შარშანდელი ღვინის მოსავალი.—ღირსება წრევანდელის ღვინისა.—მიზეზი ამისი.—კახურ ღვინის გადასხვაფერება.—ღვინის ფასი.—რა ჯდება ვენახის შემუშავება.—ღვინის სავაჭრო ამხანაგობისა კომისიისაგან მოხდენილი კრება.—წრევანდელ ღვინის სიუხვე და კახელები.

ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში არ მოსულია კახეთს არც ამოდენა ღვინო, რაოდენიც წელს მოვიდა და არც ამისთანა მაღალის ღირსებისა. მართალია, არიან იმისთანა მემამულენიც, თუმცა ძალიან ცოტანი, რომელთაც არა მოუვიდათ-რა; იმისთანანი-კი, რომელთაც წელს უკეთესი ღვინო არ მოსვლოდათ, ვიდრე წინად, არ არიან, არც დიდის ზვრებისა და არც პატარა ვენახების პატრონები.

მეტყვიან, რა დროს ღვინის ქებაა, ჯერ ღვინო დუღილშია, ვინ იცის თავს დაიჭერს, თუ არაო, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ წრევანდელი ღვინო, რადგანაც ყველა სიკეთის პირი ჰქონდა და აწიცა აქვს, უეჭველია თავსაც დაიჭერს და ბევრის სიკეთით გარჩეულიც იქმნება წარსულ წელთა მოსავლის ღვინისაგან. ყველაზე ეს არ ითქმის, რადგანაც ყველამ ერთ დროს არ დაჰკრიფა, ერთნაირად არ მოუარა. არ შეიძლება სთქვას კაცმა, ვინც თელავის მაზრაში აგვისტოს გასულს და სექტემბრის პირველ რიცხვებში დაჰკრიფა ვენახი, იმისი ღვინო კარგი იყოს, ან თავი დაიჭიროს, მაგრამ ისკი უტყუარად ითქმის, რომ ამისთანა ღვინოც იმავე ვენახის წარსულ წლის ღვინოსა სჯობია სიკეთითა.

ამ ოცის წლის განმავლობაში არ ყოფილა ისეთი წელიწადი, როდესაც ნაწილი ვაზის ნაყოფისა არ დამპალიყოს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. ყოველთვის დაკრეფის დროს დამპალ ყურძენს არჩევდნენ, რამდენადაც შეიძლება, მაგრამ ისე ვერ ახერხებდნენ არჩევას, რომ არ შეჰყოლოდა დამპალი. ხშირად მტევანში ათი და ოცი დამპალი მარცვალი შეჰყვებოდა. არჩევდნენ მარტო იმ მტევნებს, რომლის მომეტებული ნაწილი დამპალი იყო, რადგანაც სრულიად საღი მტევანი ათში ერთი ძლივს იყო. ამ შეყოლებულ სიდამპლეს შესდევდა ღვინოში ყოველ გვარი ავადმყოფობა და წახდენის დვრიტა.

წრევანდელი მოსავალი სრულიად საღი იყო. დიდ ზვარში ერთ კალო-

---

კი, აურ-დაურია და დაიწყო ციფირების თქმა:

— 35, 23, 44... გაიგონეთ?

— ბოლოს რა ბძანე, იკითხა ერთმა ქალმა.

— 44, 44... თუ ღმერთი გწამთ, ნუ გამამეორებინებთ, ყური კარგად უგდეთ... ტუდი-სუდი, ჩოყლოყინა, შაჯა-ბუტა...

— ქა, ციფირები ბძანეთ, მაგრე როგორ გავიგოთ, დაიძახა მეორემ.

— მაშ რას ვამობ ქა, ესეც ციფირების სახელია... აი ახლად გაიგონეთ, თუ ასე არ გესმით, — 69, 4, 6... ეხლა ხომ გაიგეთ?

— მძახალო, მძახალო... შენ გენაცვალე ერთი 45 თქვი, „კვატერნა“ მყავს, სთქვა მესამემ.

— ანეტა-ჯან, ერთი ის პირშავი სიმონიკა (7) ამოიღე და ჰნახავთ ამის „კვატერნას“ რა ნაირად გავაფუსტებ... სთქვა სხვამა.

— ქალებო, რა დაგემართათ, მოითმინეთ, ასე ხომ არ იქნება... 17... 28... 84.

— მადლობთ, აქ გახლავთ... წამოდგა ერთი ქალი ქაღალდით ხელში და საჩქაროდ წაიკითხა: 4, 23, 35, 69 და 84...

— რას ამბობს, ქა, ესე საჩქაროდ როგორ მაიგებდი, ჯერ სულ ხუთი ციფირიც არ უთქვამ... ეჭვი შეიტანა ერთმა.

— მაშ ჩემგნით ხომ არ მოვიგონებდი, აი გაშინჯეთ ქაღალდი, თუ რომ არ გჯერებათ.

— ანეტა-ჯან, ანეტა-ჯან... აბა ერთი ხელ-მეორედ წაიკითხე ციფრები, იქნება მართლა ამბობს?..

— მართლა ამბობს რომელია?!. მაშ ტყუილად ხომ არ ვიტყოდი, ეგ რაღა პასუხია!.. თუ მოცემა არ გინდათ, ისა თქვით, თუ არა-და, ნეტა ვიცოდე, რას მიედ-მოედებით...

— ვუიქი... როგორ მკვახე, მკვახეთაც ლაპარაკობს, არც-კი სცხვენიან!. „აბიდასაც“ იძლევა... თვალიც-კი გამოგძვრება...

— თვალიც გამოგძვრეს და ჯანიც დაგიდგეს! თვალ დამდგარო... შენ ვინ გელაპარაკება, რომ მაიდამ გამოსტყვრი...

— მეხი-კი დაგათხლიშე მაგ კაპასა თავზედ... ვუიქი... არ გეკადრება, აი!..

— ხმა გაიწყვიტე, შე წუწიანო, შენა... რომ მოკვდე, უნდა ხელმეორეთა თქვას...

მოხუცს ქეთევანას სკამზედვე ჩასძინებოდა. ამათ ყვირილზედ გამოეღვიძა, ერთი ამოიმთქნარა და ბურნუთის კოლოფით ხელში ბარბაცით მიახლოვდა დასამშვიდებლად, მაგრამ ამასაც ისეთი ჰკრეს ხელი გაცხარებულ ლაპარაკის დროს, რომ ბურნუთის კოლოფი ერთს საჟენზედ გადაუვარდა. საწყალმა მოხუცმა ყველას თავი დაანება და ბურნუთის კოლოფს დაუწყო ძებნა...

ამ არეულობაში რაღაც ქოთქოთი ჩავარდა ეზოში... ვიღაც ქალის ხმა მოისმოდა: „ბიჭო... ჩქარა... უშველეთ რამე... წყალი, წყალი მოიტანეთ... გული წაუვიდა... ექიმი მოიყვათ, ან დალაქს დაუძახეთ, სისხლი გამოუშვას... ჩქარა. ხალხნო, ვინა ხართ ქრისტიანნი, უშველეთ რამე...“

ერთი ალიაქოთი ასტყდა ლოტოს მოთამაშე ქალებს შორის, ზოგნი ქვემოდ მირბოდნენ მისაშველებლად, ზოგნი შინისკენ ემზადებოდნენ და თავიანთ წამოსასხამებსა, „კოტიტკებს“ და „შლიაპებს“ კითხულობდნენ.

სოფიო იყო მარტო გულ-გრილად და სასტუმრო ოთახში ხილის სტოლს ამზადებდა. რამდენიმე ქალი ერთად შევიდა და უთხრეს: „ქალო, რა დროს სტოლის გამზადებაა, არ გესმის, გარეთ რა ამბავია?... წადი უშველე რამე იმ დაღონებულსა...

— მითხარით, რა ამბავია, თქვენ გენაცვალეთ... დაიძახა სოფიომ და გიჟივით გამოვარდა გარეთ. არ იცოდა, საით წასულიყო...

ვიდრე ის გაშფოთებული დარბოდა, ქვემო სართულის ერთს ოთახში ძმრითა და წყლით აბრუნებდნენ შერდულაანთ გევოსა, რომელსაც იმ ღამეს იმდენი ებოროტნა „ვეჩრის“ გამართვის გამო, რომ უცებ ტვინის ანთება და სიდამბლე მოსვლოდა. მარტოდ-მარტო ჩვენი ნაცნობი რიმსოს მული მაშო დიდის თავ-გამოდებით სცდილობდა, ეშველნა რამე თავის საცოდავ ძმისათვის.

მეორე დღეს ს... ქალაქის მოედანზედ ხალხის სალაპარაკოდ ახალი ამბავი ეს-ღა იყო.

დაბეზღებული

თას ვერ ამოარჩევთ, ასე თუ ისე დაზარალებულს ყურძენს, მაშინ როდესაც ამავე ზვარში წარსულ წლებში ხუთსა და ათს გოდორს არჩევდნენ.

წარსულ წლებში ადრე დაკრეფილს ყურძენს არა ჰქონდა უმეტესი 13,5% შაქრისა, გვიან დაკრეფილს უმეტესი 17,5%-სა.

რადგანაც ერთის მხრივ ვაზი ნაცრისა და ობისაგან დაზარალებული იყო და მეორეს მხრივ, ცივი გაზაფხული დაუდგა, ამისათვის ვაზმა კვირტი გვიან გამოიტანა, გვიან შეიფოთლა, გვიან აყვავდა, ყურძენი გვიან დაისვრიმდა და გვიან შეუვიდა თვალი. წელს, ფერისცვალებას, როცა ყველა ეკკლესიები სავსეა ხოლმე ვენახის პატრონთაგან მოტანილ ყურძნითა, ეკკლესიებში შეჰხვდებოდით ან ერთს, ან ორს მტევანს და იმასაც ისვრიმს. თიბათვიდგანვე დაიჭირა საშინელი გვალვა და ამ გვალვისაგან მარცვალი ძლიერ დაწვრილოკდა, როგორც იტყვიან, დაკრიკინავდა. თუ ასე დარჩენილიყო, თქვენი მტერი, კახელებს არა მოუვიდოდათ-რა ჰაჰის მეტი, მაგრამ ღმერთმა შეიბრალა კახელები. აგვისტოში მოვიდა კარგი წვიმები, დამწვარი და დახეთქილი ნიადაგი დაალბო, გაჟღენთა, დააფხვიერა და, მოგეცათ ღვთის წყალობა, მარცვალს ორის დღის განმავლობაში შეეტყო დამსხვილება და ამასთან დამწიფების აჩქარებაცა. აგვისტოს გასულს დაკრეფილს ყურძენს უკვე 15% შაქარი ჰქონდა, ენკენისთვის ოცში დაკრეფილს 18%, ოქტომბრის 8—15 დაკრეფილს 22% და 23,5%, ე. ი. ოქტომბრის ნახევარში ყურძენი ასე იყო შემოსული, მოწეული, როგორიც დიდი ხანია კახელებს არ უნახავთ. რთველში ისეთი შესაფერი ამინდი იყო, რომ მეორე დღესვე იწყობოდა ჩქარი, გაგიჟებული დუღილი ტკბილისა. ახლად დაწურულ ტკბილს სითბო 18% მეტი ჰქონდა და ეს არის, სხვათა შორის, ერთი მიზეზთაგანი, რომ ღვინის პირველი დუღილი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს იმის ავ-კარგიანობაზე, უნაკლულო იყო.

ყურძნის კანი ისე თხელი იყო, დედად ძლივს ჰყოფნიდა დაწურულს ტკბილსა. კვლავ-კი დედის მიცემის შემდეგ ჭაჭა ბევრი გადარჩენილა და ცალკე შეუნახავთ. წელს კახეთში ჭაჭა არ მოიძებნება, მარტო თხლე არის. (ჭაჭა დედად მიცემული, ღვინის გადაღების შემდეგ, თხლედ იწოდება, რაც ნაც ბევრით განირჩევა დედად მიუცემელ ჭაჭისაგან).

ღვინის საქმე რომ ცოტათი მაინც კარგად იყოს მოწყობილი, წრევანდელი ღვინო მემრის ამ დრომდის არ უნდა გაიყიდოს. წრევანდელი ღვინო ისეა შეზავებული შემადგენელ ნაწილებით, რომ მისი ღირსება წლის გასულს იჩენს თავსა, მაშინ მიეცემა საუკეთესო ნაზი გემო და „არომატი". რას იზამს კაცი, როცა არც ვენახის პატრონები არიან საამისოდ მოწყობილნი და არც იმისთანა მოვაჭრე ჰყავს ჩვენს ღვინოს, რომელმაც შეინახოს ერთი წელიწადი მაინც და ისე გაყიდოს. სად არის ჩვენში ან ღვინის საწყობი, ან ღვინის მოვლის მცოდნე? ჩვენი ვაჭრები ღვინის მოვლა-შენახვას, განკარგებას არ დაგიდევენ და ღვინის გადასხვანაირებაში-კი არავინ აჯობებს.

არ გეგონოთ, ტფილელებო, როდიმე თქვენ აქაური ღვინო დაგელიოთ! იქნება აქედამ იყოს ჩამოტანილი, თუმცა ძალიან ცოტა მოაქვთ აქაური ღვინო მანდაურ მოვაჭრეებს, ვიმეორებ, იქნება აქაურიც იყოს, მაგრამ იცოდეთ, გადასხვანაირებულია. ჯერ მარტო კმარა, ღვინო ჟელატინ ნარევი დასაწმენდად პარკში გაატარონ, რომ გადასხვანაირდეს. უამათოდ-კი არც ერთ ღვინოს არ გასმევენ ეგენი და განა მარტო ამით ასხვაფერებენ?..

მოსულან სირაჯები და ამ საუკეთესო ღვინოში საპალნეში (48 ვედრო) სამ თუმნიდგან ექვს თუმნამდე იძლევიან დალოცვილები, ე. ი. ბოთლში 4—8 კაპეიკს. რა უნდა ჰქნას ვენახის პატრონმა? ამ ფასად გაყიდულ ღვინიდამ როგორ ამოიღოს ვენახის შესამუშავებელი? თვითონ ვენახის პატრონს უცდება დღიური ვენახის უხეიროდ შემუშავება 70 მან. მეტი. დღიურზე საპალნეზე მეტი არ მოდის მომეტებულნაწილად, ბევრჯელ-კი ნაკლებიც მოდის და, თუ წელს მოვიდა ზოგან მეტი, ეგ სამარადისო ამბავი არ არის. ვენახის პატრონმა ღვინო ისე რომ ჰყიდოს, როგორც უჯდება, თვით როგორ და რით იცხოვროს? აკი ვერცა სცხოვრობს. ყოველ-დღე საცხოვრებელს სესხულობს და ამიტომ არ მოიპოვება ვენახის პატრონი, ყელამდის ჩაფლული არ იყოს ვალში.

ამ გაჭირვებულმა მდგომარეობამ ყველას ძალ-დატანებით აფიქრებინა რომელსამე საშუალების გამოძებნა. როგორც იცის მკითხველმა, თავად-აზნაურთ მოიყარეს თავი, აილ-დაიღეს და ისეთს გზას დაადგნენ, რომ საეჭვოა იმ გზით საწადელს მიაღწიონ.

ურიგო არ იქნებოდა ადგილობრივი მწერლობა დაჰხმარებოდა ჩვენს გაჭირვებას თავის სიტყვით, იქნება შორეული მოვაჭრე გაჩენილიყო და ჯერ-ჯერობით მით შეეხვია კახეთს თვისი წყლულები.

1 ნოემბერს კომისიის თავმჯდომარემ თავადმა დიმიტრი მაყაშვილმა მოიწვია თავად-აზნაურობა წესდების უმთავრესი მუხლის მოსასმენად. წინანდელზე ბევრნი შეიყარნენ თავად-აზნაურნი. ეტყობა, ყველას აწუხებს აწინდელი მდგომარეობა, რომ ასე გულ-მოდგინედ იქცევიან. დიდის ყურადღებით ისმენდნენ წესდებას და ყველა მონაწილეობას იღებდა თვითოეულ მუხლის გასინჯვაში. ერთმა მუხლმა, რომელიც წილის ფულს შეეხებოდა, დიდი კამათობა გამოიწვია. საზოგადოდ ეს კამათობა ცხადად გვიჩვენებდა, რამდენად განუვითარებელნი ვართ, რამდენად ბევრი გვაკლია სწორედ ის, რაც უფრო ჩვენთვის საჭიროა... ერთ მუხლში იყო ნათქვამი: „სათავნო თანხა შესდგება ათასი ხუთ-თუმნიანის წილის ფულისაგან, სულ ხუთი ათასი თუმნისაგან... სხვათა შორის; იმოდენა ხალხში არავინ იცოდა, რომ ამისთანა ამხანაგობის წილის ფული სხვა არის და ობლიგაცია და აქცია სხვა, რომ წილის ფულისათვის არავითარი ბილეთები არ გამოიცემა მთავრობის ნება-დართვით; რომ, ვინც ფულს შეიტანს, მიეცემა გამგეობისაგან ხელწერილი, ანუ კვიტანცია, ფულის შეტანისა; რომ საზოგადოდ რამდენი წილის ფული ექმნება ამხანაგობას, ამის განსაზღვრა საჭირო არ არის, მთავრობა ამას არ მოითხოვს. საჭიროა მხოლოდ, განისაზღვროს, ერთს ამხანაგს რამდენის წილის ფულის შეტანა შეუძლიან და მის რაოდენობის კვალობაზე რამდენი ხმა უნდა ჰქონდეს. რა-კი ასე დაქვეითებულნი ვართ, ბევრად ემჯობინებოდა ამხანაგობაში მიეღო მონაწილეობა ყველას, განურჩევლად ჩამომავლობისა, რომ იქნება საჭირო მცოდნე კაცები ყველა წოდებაში გამოგვეძებნა. რამდენი მცოდნე და მუშა კაცია საჭირო ამ ამხანაგობის კეთილდღეობისათვის! ყველას დახმარება ასე თუ ისე დასჭირდება ასეთს დიდს საქმეს.

ჯერ-ჯერობით წლევანდელმა ღვინის მოსავალმა ბევრი გვაზარალა. ეტყობა, მაღალის ღირსების ღვინო კარგად არა ჰმოქმედობს კახელებზედ. სისხლის დანაშაულობის საქმედა რიცხვმა იმატა. თითქმის ყოველ დღე ისმის: აქა და აქ კაცი დასჭრეს, იქ კაცი მოჰკლეს, აქ კაცს თავ-პირი ჩამოამტვრიეს კეტებით, აქა და აქ ცხენები დაიპარეს, იქ ძროხები და კამეჩები და სხვ. და სხვ. ვისგანაც თავის დღეში ავ საქმეს არ მოელოდი, ჰხედავ, ისიც საეჭვო გამხდარა. რას დავაბრალოთ ყოველივე ესენი, თუ არ ღვინოს? ყოველივე ეს წინადაც ყოფილა კახეთში, მაგრამ მცირედ. ახლა, ბატონო, ყველანი წაითამამდნენ. ეტყობა, ღვინის მოსავალმა იმატა და სინიდისისამ-კი იკლო.

ნადიკვრელი

## რუსეთი

„Астрах. Вѣстн." დაბეჭდილია: „ხელმწიფე იმპერატორმა ასტრახანის გუბერნიის ცარევის მაზრაში მომხდარ უწესოებისათვის 5 კაცის სიკვდილით დასჯა შესცვალა საუკუნო კატორგითა.

— „Нов. Вр." იუწყება, რომ სახერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი ქარხნებთან დასაარსებელ სასწავლებლებისა. ასეთს სასწავლებელში ორი კლასი იქნება. პირველში წერა-კითხვასა და უმთავრესს საგნებს ასწავლიან, ხოლო მეორეში ქარხნის საქმესა.

— მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ ჩიკაგოს გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების უფროსად ფინანსთა სამინისტროს მოხელე კამერჰერი გლუხოვსკი იქნება დანიშნულიო.

— ფინანსთა სამინისტროს უთხოვნია მთავრობისათვის 41,000 მანათი ვაჭრობის დეპარტამენტთან პურის ვაჭრობის განყოფილების დასაარსებლად.

— რუსეთის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ცნობილი მწერალი გლებ ივანეს ძე უსპენსკი, რომელიც სულით ავადმყოფთა სამკურნალოში იმყოფება, იმოდენად კარგად არის ახლა, რომ, იმედია, რამდენისამე ხნის შემდეგ შეიძლებს ლიტერატურასაც კვლავ მოჰკიდოს ხელიო.

— მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ზაბელინი, რომლის 50 წლის მოღვაწეობის საიუბილეო დღეობა უკვე იდღესასწაულეს რუსეთის სასწავლებლებმა, ამ დღეებში ამოურჩევიათ საპატიო წევრად დერპტის უნივერსიტეტში.

— კიევის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში მოხელედ ნამყოფს ბ. ა. ფ. ვორონინს 1890 წელს დიდი ფული შეუწირავს სასოფლო სამეურნეო სკოლის დასაარსებლად. ახლა სკოლა უკვე გაუმართავთ და 1 ნოემბრიდგან მოსწავლეებსაც იღებენ სკოლაში. სკოლაში მიიღებენ განსაკუთრებით მართლ-მადიდებელ სარწმუნოების ყმაწვილებს. ვინც მოსამზადებელ კლასშია მისაღები, უნდა იცოდეს პირველ-დაწყებითი სახალხო სკოლის საგნები და ვინც 1 სპეციალურ კლასში—სოფლის ორკლასიანის სკოლის საგნები უნდა იცოდეს. სპეციალ კლასებში სამი წელიწადი უნდა ისწავლოს მოწაფემ და მე-4 წელი სადმე მამულში იმუშაოს მეურნეობაში გასავარჯიშებლად. მოსამზადებელ კლასში მისაღები 13 წლისაზედ ნაკლები არ უნდა იყოს და სპეციალ კლასში—14-საზედ. ბ. ვორონინის მიერ შემოწირულ ფულის თანხის სარგებლით სკოლაში გამოიზრდება 30 ყმაწვილი. თავის ხარჯზედ მიიღებენ შეგირდებს პანსიონერად წელიწადში 60 მანათად და ნახევარ ხარჯზედ—30 მანეთად; გარეშე მოსიარულეთ უსასყიდლოდ ასწავლიან.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ლუბეს სამინისტრო დამარცხებულ იქმნა. სამინისტროს პანამის საქმემ მოიღო ბოლო. მინისტრთა თავმჯდომარეს ამ სამარცხვინო საქმის გამოქვეყნება არ უნდოდა, თუმცა იუსტიციის მინისტრი იმ აზრისა იყო, რომ გამოძიება დანიშნულიყო და დამნაშავენი დასჯილიყვნენ. ამ გვარად თვით სამინისტროში უთანხმოება სუფევდა და დამარცხება ამის გამო უფრო მოსალოდნელი იყო. პანამის საზოგადოებისაგან ფულის აღება ჰბრალდებათ სენატორ რანკს, დეპუტატს მარეს; აწ გარდაცვალებულ რეინაკს 28 მილიონი მანეთი დარჩენია და ეს მილიონერი სიმამრი იყო ერთის უძლიერესის გაზეთის რედაქტორისა. პალატის კრებაზედ დეპუტატი დელაე ამტკიცებდა — 150 დეპუტატს აქვს ქრთამი აღებული ამ გაკოტრებულ საზოგადოებისაგანაო. ამანვე დაასახელა დიდრონი და ერთობ გავლენიანი გაზეთები, რომელთაც 40 ათასიდგან 160 ათასამდე მანეთი მიუღიათ თითოს. თქმა არ უნდა, ლუბე მთელის ერის სურვილს უნდა მიჰყოლოდა, თუ უნდოდა, საფრანგეთისთვის ეს უდრო-უდროოდ მომხდარი სამინისტროს კრიზისი აეცილებინა თავიდამ. ამას გარდა, ამგვარი საქმეების დამალვა თვით პატიოსნებასაც-კი ჩირქს მოსცხებს, მეტადრე საფრანგეთში, სადაც პოლიტიკური მოღვაწეობა ადამიანისა და მისი ზნეობრივი შეხედულებანი და საქციელი, თვით შინაური ცხოვრებაც-კი არავის გაუყვია. ვილსონმა გრევი ინაცვალა, უწინდელი პრეზიდენტი რესპუბლიკისა და ვნახოთ, პანამის საქმე რითი გათავდება. ჩვენის აზრით, რაც უნდა სუსტი ყოფილიყო ლუბე თავის მინისტრებით, ამ ჟამად ისევ მისი დარჩენა სჯობდა; ასე აწეწილს საქმეებს არ უნდა უმტყუნოს სახელმწიფო კაცმა. დაგომეიში ომია და, თუმცა პალატამ სრული გამარჯვება კიდეც მიულოცა იქ მყოფ ჯარებს, ჯერ საქმე გათავებული არ არის; შიგ პარიჟში ანარქისტები ონავრობენ და მათის შიშით თავზარ დაცემულია ხალხი; გერმანიაში ახალი სამხედრო კანონები უნდათ შემოიღონ, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საფრანგეთისათვის. თუ წინად მინისტრად ნამყოფთაგან შესდგა ახალი სამინისტრო—ეს ძველი ხილი იქნება ახალის სახელწოდებით, და ორ-სამ კვირაში ესეც ჩაილუღის წყალს დალევს; სულ ახალთ კიდევ ვერ მიანდობენ ქვეყნის მართვას, რადგან, მგონია, ყველას ჰქონდა ხელთ მინისტრის პორტფელი, ვისაც იმედი-კი ჰქონდათ აწინდელ პალატაში. ამიტომ გასაკვირველი არ იქნება, თუ დათხოვნილ იქმნას თვით პალატაც.

**გერმანია.** სამხედრო პროექტის გამო... ლამის დათხოვნილ იქმნას თვით რეიხსტაგი. ერთის გაზეთის სიტყვით, სეფე სიტყვას ვილჰელმისას ერთად-ერთი ღირსება ჰქონდა—მოკლე იყო. ხელმწიფე ამტკიცებდა—ყველასთან სრულიად მშვიდობიანი დამოკიდებულება გვაქვს და მოულოდნელია ეს კეთილი ურთიერთობა შეირყეს რითიმეო; მაგრამ ჩვენი მეზობლები დღითი დღე ჯარს ამრავლებენ, ახალ სისტემის იარაღში სხდებიან და ჩვენც დიდის გულის წუხილი და უბრალოდ დახარჯულ ფულის ვაებით, ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ [illegible] სხვებსაო და სხ. და სხ. ყველაზედ საინტერესო ამ სიტყვაში—სიმოკლის გარდა—ის არის, რომ ხელმწიფეს სულ სხვაფრივ ეყურება სამშობლოს სიყვარული, ვიდრე ხალხსა და ხალხის წარმომადგენელ რეიხსტაგს. ხელმწიფე ბრძანებს, თუ რეიხსტაგს სამშობლო უყვარს, ხელს მოგვიმართავს და ჯარს მოგვიმატებსო. რეიხსტაგი-კი სულ სხვა აზრისაა—თუ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, ამ პროექტის ასასრულებლად გროშსაც ნუ გავიღებთო.

**ბელგია.** და იმ დროს, როდესაც ძლიერ სახელმწიფოებში—ერთგან შემაძრწუნებელი ქურდობაა, მეორეში—ხალხის ჟლეტის მეტს არას ნატრობენ, პატარა ბელგია თავისას არ იშლის და, თავის საქმეებს გარდა, კაცობრიობის სარგებლობასაც ზრუნავს. ბრიუსელში კონფერენცია არის შეყრილი და ზრუნავს განათლებულ ერთ ყველას ერთი და იგივე ფული შემოაღებინოს, აწინდელ მანეთის, მარკის, გულდენის, შილლინგის მაგვრად. უწინ შეიძლებოდა ყველა ხალხს თავისი საკუთარი ფული ჰქონიყო, როდესაც ერთა შორის არც ასეთი მისვლა-მოსვლა იყო და არც ასეთი აღებ-მიცემობა. ფულების ნაირნაირობა სხვა-და-სხვა ქვეყანაში დიდს ზარალს აძლევს ვაჭარს დახურდავების, გადაცვლის დროს და ის ამ ზარალს საქონლის ძვირად გაყიდვით ინაზღაურებს. ჯერ ახლავე სამეცნიერო ნაწერებში, ინგლისური იქნება იგი, თუ ხშირად რუსულიც, ერთი და იგივე ზომაა ხმარებული, ფრანგული ნათელი და ყველასათვის ადვილად გასაგები ზომა სიგძისა, წონისა და სხ. შვეიცარია, ბელგია, იტალია და საბერძნეთი ეხლავე ფულად მხოლოდ ფრანგულ ფრანკს ხმარობენ და ბრიუსელის კონფერენციის იმედი, რომ მალე მთელი ევროპა მიჰყვება მათს მაგალითსაო, ჩვენ დიდად სასარგებლოდ მიგვაჩნია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩემი უღრმესი მადლობა გამოუცხადო შემდეგ რედაქციებს: „ახალ მიმოხილვისას“, „ჯეჯილისას“ „მწყემსისას“ და „ბუნება და ხალხისას“, რომელნიც უსასყიდლოდ მიგზავნიან თავიანთ თითო ცალ ჟურნალ-გაზეთს, ჩემ მიერ სკოლასთან დაარსებულ სამკითხველოსთვის; აგრეთვე ვსთხოვ „წერა-კითხვის საზოგადოებას; „წიგნების გამომცემელ ამხანაგობას“, ბ-ნთ ავტორებს, სხვა რედაქციებსაც, და ყველა იმათ, ვინც ზრუნვენ სოფლის განათლებისათვის, ხელი გამოგვიწოდონ და დაგვეხმარონ წიგნებისა თუ ჟურნალ-გაზეთების მოწოდებით, გამოგზავნა შემდეგის ადრესით შეიძლება: Ст. Карели З. Ж. Д.

Въ читальню при русской сельской школѣ.

მასწავლებელი და მმართველი სამკითხველოსი ვასო ბიბილაშვილი

1892 წ. 20 ნოემბერი.

სოფ. რუისი.

P. S. „Новое Обозрѣніе“-ს ვთხოვ გადაბეჭდოს ეს წერილი.

ვ. ბ.

# დეპეშა

20 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია, რომ ღვინის მწარმოებელთ უფლება აქვთ ქალაქებსა და სოფლებში გამართულ იარმუკებზედ საკუთარ ვენახების ღვინო უპატენტოდა ჰყიდონ იარმუკობის დროსა.

ჟურნალის „Развлеченіе“-ს ცალკე ნომრობით გაყიდვა აკრძალულ იქმნა.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინა მოხსენება შაქარზედ აქციზის მომატების შესახებაო.

**ბომბეი.** ჩიტრალის საქმე თანდათან მწვავდება: ამას წინად მოკლულის აფზულ-ულ-მულკის ძმა, ნიზამ-ულ-მულკი სცდილობს ტახტიდგან გადააყენოს თავისი ბიძა, აწინდელი მეხთარი ჩიტრალისა, შერაფ-ულ-ხანი. ნიზამ-ულ-მულკი, რომელიც წინად იასინის გუბერნატორად იყო, ჩიტრალზედ მივიდა იერიშით; შერაფ-ზულ-მულიკმა მის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა; ეს ჯარი შერაფს-ულ-ხანს გადაუდგა და ნიზამ-ულ-მულიკს მიემხრო, რის გამოც იგი, საფიქრებელია, მალე შეიპყრობს ჩიტრალსა.

21 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნდნენ ცარსკოე სელოში. დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო ოთხის თთვის ვადით.

**პარიჟი.** დაბეჭდილია წერილი ბრისსონისა, რომელშიაც იგი უარს ამბობს ახალის კაბინეტის შედგენაზედ; ბრისსონს განზრახვა ჰქონდა ახალი სამინისტრო რესპუბლიკის ყველა დასის წარმომადგენელთაგან შეედგინა, რაკი ამისთანა სამინისტროში მონაწილეობის მიღებაზედ უარი სთქვა კაზიმირ პერიემ და ბურჟუამ არ იტვირთა შინაგან საქმეთა მინისტრობა, ბრისსონმა ხელი აიღო თავის განზრახვაზედ. ახალის კაბინეტის შედგენა მიანდეს საბიუჯეტო კომისიის პრეზიდენტს კაზიმირ პერიეს.

**ვენა.** ტააფემ წაიკითხა დეკლარაცია და განაცხადა, რომ მთავრობას სურს საეკონომიო რეფორმების შემოსაღებად ყველა ზომიერის დასის წარმომადგენელნი მიიწვიოს და გერმანელებთან მოარიგოს ჩეხები. მიუხედავად ამისა პალატამ არ დაამტკიცა ფონდი, რომელიც მინისტრის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო: გერმანელებმა და მლადო-ჩეხებმა ერთად გაუწიეს წინააღმდეგობა ამ ფონდის დამტკიცებას.

22 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ გუშინ კანონების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბ-ნ სოლსკის მეთაურობით განხილულ იქმნა ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტი ციმბირის რკინის გზისა და ეს პროექტი შეწყნარებულია კიდეც.

ფინანსთა სამინისტრომ ჩიკაგოს გამოფენისთვის გამოსცა წიგნი: „ციმბირი და დიდი რკინის გზა ციმბირისა“.

გამოცხადებულია ლუდის აქციზის მომატება ამ 1892 წლის 1 დეკემბრიდგან. აქამდე ლუდის ქარხნებში აქციზს ართმევდნენ მიხედვით იმისა, რამდენ ვედრას იტევდა ლუდის მოსახარში ქვაბი და ვედრაზედ 20 კ. აქციზი იყო. 1892 წლის 1 დეკემბრიდგან-კი ვედრაზედ 30 კაპეიკს გამოართმევენ.

გამოცხადდა დებულება მოსკოვა-კურსკის რკინის გზის შესყიდვისა, რომელიც მოხდება 1893 წლის 1 იანვრიდგან.

23 ნოემბერი.

**მოსკოვი.** გუშინ გარდაიცვალა ა. ა. ფეტი—შერშინი, 72 წლისა; სიკვდილის დღეს პოეტი ამზადებდა ხელმეორედ დასაბეჭდად თავის ლექსთა სრულს კრებულს და თავის მოგონებათა ახალს ტომს.

**ბერლინი.** თ. ბისმარკი მიდიოდა ვარცინიდგან ფრიდრიხსრუს და გზად ბერლინში გაიარა; შტეტინგენისა და აერტის ვოგზალზედ თავადს დიდის ამბით მიესალმა სიმრავლე ხალხისა.

**პარიჟი.** კაზიმირ პერიემ უარჰყო ახალ კაბინეტის შედგენა; ამბობენ ბურჟუაც უარზეაო; გაზეთები ამტკიცებენ, რომ კრიზისი დიდიაო.

**სოფია.** გაზეთ „Свобода“-ს სიტყვით, მოხდა მთავრობის მომხრე დასის თათბირი. მინისტრებმა ურჩიეს კრებას, შემდეგნი ცვლილებანი მოახდინონ კონსტიტუციაში: 1) მოხსენებულ იქმნას ღირსება მთავრისა, მისი უფლება ორდენების ბოძებისა და სხვა; 2) შემცირებულ იქმნას რიცხვი დეპუტატებისა: აირჩეოდეს თითო ოცი ათასზედ და არა ათი ათას მცხოვრებზედ; 3) გარკვეულ იქმნას კონსტიტუციის მუხლი, რომელიც შეეხება სრულს კენჭის ყრას; 4) დაწესებულ იქმნას ორის ახალის მინისტრის ადგილი; 5) შეცვლილ იქმნას 38 მუხლი, რომლის ძალითაც დღეს შვილები მთავრისა მოვალენი არიან აღიარებდნენ მართლმადიდებელ სარწმუნოებას. მმართველობის აზრით, ეგ მუხლი ართმევს მთავრის შვილებს იმ უფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს ყოველს მოქალაქეს—აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც ჰსურს. უკეთუ ეს რჩევა შეწყნარებულ იქმნება საერო კრების ორ-მესამედის მიერ, მერე გარდაეცემა განსახილველად დამფუძნებელთა კრებას.

**პეტერბურგი.** „Вѣстникъ Финансовъ“ იუწყება: უმაღლესის ბრძანებისამებრ, სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ იყიდონ საზღვარ-გარედ ფხვნილი შაქარი, მოიტანონ რუსეთს და ჰყიდონ ნარდად ფუთი: ქმერინკისა და ვინაიმუს სადგურებზე 5 მან. 10 კაპეიკად, ოდესაში—5 მ. 35 კ., კიევში—5 მან. 23 კაპ., მოსკოვში—5 მან. 60 კაპ., პეტერბურგში—5 მან. 65 კაპ., მსურველთ მიჰმართონ პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკს კიევში.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,08 | 8,11 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161½ | 162¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223 |
| სახ ლომბიოვო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98,87 |

## ივერიის ფოსტა

**სოფ. ს—ახ, ბ—რ ბ—ას.** თქვენს წერილს ვერა ვბეჭდავთ. უსამართლოდ დაჩაგრულმა უნდა კანონს მიჰმართოს და თავისი სიმართლე სასამართლოში უნდა დაამტკიცოს.


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ გამგეობის დარბაზში ამა 1892 წლის 11 დეკემბერს დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ალექსანდრეს ბაღში საფარდულე ადგილების იჯარით გასაცემად, ეს ადგილები ამ ჟამად იჯარით აღებული აქვს აკოფოვს ‑ იქ ისყიდება ლიმონადი, შუშხუნა წყალი, რძე, კუმისი და კეფირი. ეს ადგილები იჯარით გაიცემა 3 წლის ვადით, 1893 წლის 1 იანვრიდგან 1896 წლის 1 იანვრამდე: პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. (3—1)

## კახურის ღვინის ვაჭრობა
## ალექსანდრე ემელიანის ძის თუნიევისა.

ვუცხადებთ ჩვენს მუშტრებს და სხვათაც, რომ ტფილისში (მიხეილის ქუჩაზედ, № 72, მიხეილის საავადმყოფოს ახლოს) კახურის ღვინის ვაჭრობა გვაქვს გამართული 1870 წლიდგან. თუ შემოგვიკვეთავს ვინმე, კარგის ღირსებისას და პირიან ფასად ვგზავნით ღვინოს ყველგან. საუკეთესო ღირსების ღვინოების ყიდვისათვის შემდეგი ჯილდოება გვაქვს მიღებული.

პარიჟიდგან დიდი ვერცხლის მედალი, ჟენევიდგან (შვეიცარიაშია) დიდი ოქროს მედალი და პირველი ჯილდო ლენტით, ბრიუსელიდგან (ბელგიაშია) დიდი ოქროს მედალი, მარსელის აკადემიისაგან ორდენი საპატიო ლეგიონისა ლენტით, ნიცადგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით აქასიოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ბორდოდგან (საფრანგეთშია) დიდი ოქროს მედალი და ჯვარი ლენტით, პარიჟის აკადემიისაგან ღვინის ღირსების შედარების შემდეგ დიდი ოქროს მედალი, ლონდონიდგან (ინგლისშია) დიდი ოქროს მედალი და ჯილდო ლენტით, ყაზანიდგან ვერცხლის მედალი, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსაგან ვერცხლის მედალი და ნიდერლანდის სამეფოდგან დიდი ოქროს მედალი და ნიშანი ლენტითურთ.

მ ო წ მ ო ბ ა ნ ი:

კავკასიის გამოფენის საპატიო მოწმობა, დიპლომი პარიჟის აკადემიისა, მე-43 დრაგუნთა ტვერის პოლკის მოწონების ფურცელი, მოწმობა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, მოწმობა ამავე საავადმყოფოს ექიმებისაგან, მოწმობა კავკასიის სამკურნალო მმართველობისაგან, მოწმობა რკინის გზის სამკურნალოსაგან და მოწმობავე კავკასიის საზოგადო პრიკაზისაგან.

წიგნის მოსაწერი ადრესი: ქ. ტფილისი, ალექსანდრე თუნიევს (ღვინის საწყობი მიხეილის ქუჩაზედ, № 72.).

ალექსანდრე ე. თუნიევი.

(10—165—4)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ძღძლო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფოტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმიარაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—47)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—21)


Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Ноября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.